ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, დავით ხოშტარია

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ქართველთა აღმშენებლობა წმინდა მიწაზე

სხვადასხვა დროს ქართველებს წმ. მიწაზე რამდენიმე ათეული მონასტერი, ეკლესია თუ სამლოცველო ეკუთვნოდათ. ცნობილია, რომ ქართველები აქ აქტიურ სააღმშენებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ, მაგრამ მათი კუთვნილი ან მათ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ეკლესია-მონასტრების ხუროთმოძღვრება აქამდე საგანგებოდ არ ყოფილა შესწავლილი. ამ თვალსაზრისით სამომავლოდ არქიტექტურის ისტორიკოსთა წინაშე ორი მნიშვნელოვანი ამოცანა დგას. პირველი არის წმ. მიწის ყოფილ ქართულ მონასტრებში მდგარი ნაგებობების (პირველ რიგში ეკლესიების) თავდაპირველი არქიტექტურული სახის რეკონსტრუქცია და სხვადასხვადროინდელი სამშენებლო ფენების განშრევება (მონასტრების უმეტესობა საუკუნეთა განმავლობაში არაერთხელ განაახლეს ქართველებმაც და მოგვიანო მფლობელებმაც), ხოლო შემდეგ წმ. მიწის ქართული მონასტრების მშენებლობისა და აღდგენა-გადაკეთებების ქრონოლოგიის დადგენა არქიტექტურული ანალიზის მონაცემების წერილობით ცნობებთან შეჯერების საფუძველზე.

მეორე ძირითადი ამოცანა არის წმ. მიწის არქიტიტექტურაში ქართველების მიერ შეტანილი წვლილის გარკვევა და მისი ხასიათის განსაზღვრა. საამისოდ, პირველ რიგში, აუცილებელია წმ. მიწაზე ქართველ ხუროთმოძღვართა და მშენებელთა მოღვაწეობის ნივთიერი კვალის შეძლებისდაგვარად სრულად გამოვლენა. დღეისათვის ამ თვალსაზრისით ხელმოსაჭიდი თითქმის არაფერი გვაქვს და ითვლება, რომ წმ. მიწაზე თავიანთი მონასტრების ასაგებად ქართველები მეტწილად ადგილობრივ (არაქართველ) ოსტატებს იწვევდნენ – ისევე, როგორც მოიქცნენ ისინი, ვთქვათ, ივირონის მონასტრის მშენებლობისას. მაგრამ საგულისხმოა, რომ უცხო ქვეყნებში ქართული მონასტრების მშენებლობისას არსებობდა სხვაგვარი პრაქტიკაც, რომლის დამადასტურებელი უეჭველი ფაქტი გამოვლენილია ანტიოქიაში – შავ მთაზე გათხრილი ეკლესია XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების, მეტადრე ქვაზე კვეთილობის ტიპიური ნიმუშია, ამასთან, ბრწყინვალე ოსტატების მიერ შესრულებული. გასათვალისწინებელია "შერეული" პრაქტიკაც, როგორც დასტურდება, მაგალითად, პეტრიწონის მონასტრის ერთ ნაგებობაში, რომელშიც თანაარსებობს ქართული და ბიზანტიური არქიტექტურის ნიშან-თვისებები.

არქიტექტურის ისტორიკოსთა მონაწილეობა წმ. მიწის კომპლექსურ სამეცნიერო ექსპედიციაში განაპირობა ზემოთ აღნიშნული საკითხების გასარკვევად წინასწარი კვლევის ჩატარების აუცილებლობამ. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ იერუსალიმში ისტორიულ-ხუროთმოძღვრული სურათის არაერთგვაროვნება და სირთულე დიდად აძნელებს პასუხის გაცემას ამ კითხვებზე. პირველ რიგში, მხატვრულ-არქიტექტურული კვლევის წარმოებასა და საბოლოო დასკვნების სხვა დამხმარე საშუალებების გარეშე გამოტანას აძნელებს ის, რომ წმინდა მიწა ყოველთვის იყო უწყვეტი რელიგიური ცხოვრების ასპარეზი. ეს კი განაპირობებდა უძველეს ნაგებობათა გამუდმებულ და ხშირ აღდგენა-განახლებასა თუ გადაკეთება-გავრცობას. ყველაზე ინტენსიური და ყოვლისმომცველი აღმოჩნდა XIX და XX საუკუნეების რეკონსტრუქცია, რამაც ამ უძველესი ქალაქის მონასტრებში ძველის თითქმის მთლიანი განადგურება ან გადაფარვა გამოიწვია.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის მძლავრი ადგილობრივი ტრადიცია, რაც აქ თავისებურსა და "იერუსალიმურს" ხდის უკლებლივ ყველა ნაგებობას, იქნება ეს ანტიკური, შუა საუკუნეების თუ ახალი დროის აღმშენებლობა. კერძოდ, ესაა განაშენიანების ინტენსიურობა, ტერასული განვითარება, ფართო და უმთავრესად კი ვიწრო ქუჩების გადაჯაჭვულობა, რაც შედეგად ქალაქში მდებარე ყველა მონასტრის ამ ქსელში "ჩაწნულობას" განსაზღვრავს და შეუძლებელს ხდის მათ თავისუფლად გარშემოვლას

1. ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძარი (ფოტო ნ. ვაჩეიშვილის)

– სულ მცირე, ნაგებობის ფასადების მოხილვაც კი მხოლოდ ქალაქის სხვადასხვა ქუჩიდან და სხვადასხვა დონიდან არის შესაძლებელი და ისიც არა ყოველთვის. ამას უკავშირდება სამონასტრო ეკლესიების მასათა კომპონირებაც – მათ უმრავლესობას სწორკუთხოვანი კორპუსი და მასზე ზემოდან ცალკე მოცულობად "შემოდგმული" გუმბათი აქვს. (ილ.1) თავისებურად ფორმირდება ინტერიერიც. შიდა სივრცე, როგორც წესი, შედგება ჯვრული კამარებით გადახურული მომცრო მონაკვეთებისაგან, რომლებიც უჯრედებივით ებმის ერთმანეთს და სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება – ისე, რომ არ ქმნის ერთიან სივრცეს. (ილ. 1, 2) იერუსალიმური არქიტექტურის საერთო სახეს დიდწილად განაპირობებს ასევე ტრადიციული მასალა – თეთრი კირქვა, რომლითაც აქ უძველესი დროიდან აგებდნენ და რომლის გამოყენებასაც დღეს მშენებლებს კანონი ავალდებულებს.

მიუხედავად ამისა, ცალკეული შემორჩენილი ფორმები და ელემენტები ცხადს ხდის, რომ წმ. მიწაზე მიმდინარე ხუროთმოძღვრულ-შემოქმედებითი პროცესები ერთმნიშვნელოვანი არ უნდა ყოფილიყო და ურთიერთგავლენების კვლევას შეუძლია გაამდიდროს დღეისათვის მეცნიერებაში არსებული სურათი. ეს კვლევა კი აუცილებლად მოითხოვს არქეოლოგიურ ჩარევას, ახალი ნაგებობების გახსნას, რემონტისშიდა პლასტების გამოჩენას, რის გარეშეც აქ დღეისათვის უკიდურესად ძნელია საუბარი არათუ ქართული, არამედ ზოგადად შუა საუკუნეების არქიტექტურის თაობაზეც. აუცილებელია ასევე XVIII-XIX საუკუნეების წერილობითი დოკუმენტებისა და ვიზუალური მასალის (ნახატები, ძველი ფოტოები) დეტალური შესწავლაც.

ექსპედიციამ დაწვრილებით დაათვალიერა ქართველთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი, რომელიც დღეისათვის ბერძნების, სომხებისა თუ კათოლიკეების ხელშია. გამოიკვეთა ის მასალაც, რომლის საფუძველზეც უნდა გაირკვეს ადგილობრივი და ქართული ხუროთმოძღვრების მიმართება. ეს მომავალი კვლევის საქმეა. ამჯერად მოკლედ მიმოვიხილავთ მხოლოდ რამდენიმე უმთავრეს ნაგებობას და შევეხებით მათში შემორჩენილ სიძველეთა ნაშთებს, რომელთაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს ზემოაღნიშნული საკითხების გასარკვევად.

მთავარი ქრისტიანული სიწმინდე – უფლის საფლავის ეკლესია ამჟამად წარმოადგენს რთულ არქიტექტურულ კომპლექსს, რომელიც გარდა საკუთრივ წმ. საფლავისა, მოიცავს აღდგომის ეკლესიას, გოლგოთას და რამდენიმე სამლოცველოს. (ილ. 3) ნაგებობაში განირჩევა IV საუკუნიდან ბოლო დრომდე ჩატარებული მრავალი სხვადასხვა მშენებლობის კვალი.

ქართველების ყოფნა უფლის საფლავის ეკლესიასა და გოლგოთაზე წერილობით დადასტურებულია 1049 წლიდან. უკვე XI საუკუნიდან მათ, როგორც ჩანს, ეკუთვნოდათ გოლგოთის თხემის ნაწილი. განსაკუთრებით გაფართოვდა აქ ქართველთა მფლობელობა გიორგი ბრწყინვალეს დროიდან. XIV–XVI საუკუნეებში ისინი გოლგოთასთან ერთად ფლობდნენ საკუთრივ უფლის საფლავსაც (წმ. კუვუკლია და წმ. ანგელოზის სამლოცველო მის წინ), აგრეთვე ღმრთისმშობლის (იგივე ქრისტეს დილეგის, Carceris Christi), წმ. მარიამ მაგდალინელის, წმ. ელენეს და ჯვრის აღმოჩენის სამლოცველოებს. XVII საუკუნის ბოლოდან ქართველები წმ. საფლავსა და გოლგოთაზე აღარ ჩანან.

არის ცნობები წმ. საფლავსა და გოლგოთაზე ქართველთა სამშენებლო აქტივობის

2. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ინტერიერი (ფოტო ნ. ვაჩეიშვილის)

შესახებ. 1476 წელს აქ აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა მეფე ბაგრატ VI-მ (ჯვრის აღაპით, მან "გუნბადი აღაშენა"). ბერძენი პილიგრიმის დანიელ ეფესელის 1493 წლის ცნობით, იბერიელებმა გოლგოთაზე ააშენეს სამლოცველო. 1530-იან წლებში კახეთის მეფე ლევანმა განაახლა წმ. საფლავი და გოლგოთა (ამ ფაქტის მაუწყებელი წარწერა პატრიარქის მარმარილოს ტახტზე განადგურდა 1808 წელს ხანძრის დროს). ამ მშენებლობათა კვალის გამორჩევა ამჟამად შეუძლებელია.

წმ. იოანე მახარებლის, იგივე წმ. სვეტის (**della Colonna**) ანუ ამუდის (**Deir-i Amud**) მონასტერი (ახლანდელი მაცხოვრის მონასტერი, **St. Salvator**) ტრადიციულად ითვლება იერუსალიმის ერთ-ერთ უძველეს ქართულ მონასტრად. მას უნდა ეხებოდეს VII-VIII საუკუნეთა მიჯნის სომეხი პილიგრიმის ანასტასიუსის ცნობა, რომლის მიხედვით, წმ. იოანეს მონასტერი აღდგომის ეკლესიასთან ქართველებს ეკუთვნის. ის ქართველებისაა XIV-XV საუკუნეთა ცნობებითაც (ბერძნული საპატრიარქოს ანგარიში, ფრანჩესკო სურიანო). ტიმოთე გაბაშვილის მიხედვით, მონასტერი აუშენებიათ "საათაბაგოელთ და ათაბაგს" (ალბათ უნდა ვიგულისხმოთ მონასტრის განახლება სამცხის რომელიმე ათაბაგის მიერ XIII ან XIV საუკუნეში).

სულთან სულეიმან კანუნის 1558 და 1561 წლების ბრძანებებით წმ. იოანეს მონასტერი გადაეცა ფრანცისკელებს. ამჟამად ეს არის ფრანცისკელთა კონვენტი და მათი მთავარი ცენტრი ახლო აღმოსავლეთში. დამხმარე ნაგებობათა ნაწილს დაეუფლნენ ბერძნები და მათში წმ. გიორგის მონასტერი მოაწყვეს (ამ მონასტრის პატარა უაფსიდო ეკლესია აშკარად ადრინდელი საცხოვრებელი თუ სამეურნეო სათავსისაგან არის გადაკეთებული).

იერუსალიმური ზეპირი ტრადიცია დღემდე ინახავს ხსოვნას იმისას, რომ ახლანდელი მაცხოვრის მონასტერი (St. Salvator) და მთელი მიმდებარე უბანი ერთ დროს ქართველებისა იყო. მონასტრის ეკლესია ძირეულად გადაკეთდა XIX საუკუნეში და ახლა მის არქიტექტურაში შუასაუკუნეობრივი სიძველე არსად ჩანს. მის უკან მონასტრის ეზოა, რომელშიც სამრეკლო დგას. XIX საუკუნის ზოგი ავტორის – მაგალითად, გრაფ მელქიორ დე ვოგის – ცნობით, ფრანცისკელთა მიერ ჩატარებული რამდენიმე საფუძვლიანი რეკონსტრუქციის მიუხედავად, მონასტრის სამრეკლო იმხანად კიდევ ინარჩუნებდა ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ ცალკეულ თავისებურებებს. დღეისათვის ისიც მთლიანად გადამოსილია. მაგრამ ქართულ კვალზე შესაძლოა მიგვანიშნებდეს ეზოს სიღრმეში მდგარი ორსართულიანი (სულ გვიან მასზე მესამე სართულიც დააშენეს) შენობის ფანჯრების ღიობების ზემოთ, მათ მორთულობად ჩატანებული ქვების დეკორი. ცენტრალურ სამ ღიობს ზღუდარებზე ჯვრები აქვთ ამოკვეთილი. მათგან მარცხენა – სადგარზე აღმართული ქვედა მოგრძო მკლავითა და გვერდით მკლავებზე ჩამოკიდებული ხვეული ლილვებით, უფრო მოგვაგონებს ქართულ ნიმუშებს, მითუმეტეს, რომ მისი ზედაპირი ადრეული ხანიდან გავრცელებული ჩანაჭდევებითაა დამუშავებული. ასეთივეა სულ მარჯვენა ფანჯრის ზემოთ ჩასმული სათაურიც – კედლიდან ამოზიდული და გვერდიდან ჩაჭდეული რომბებით დამუშავებული.

3. უფლის საფლავის ეკლესია. ხედი აღმოსავლეთიდან (ფოტო ნ. ვაჩეიშვილის)

წმ. ჯვრის მონასტერი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველთა მოღვაწეობის მთავარი ცენტრი იყო წმ. მიწაზე, ძველი იერუსალიმიდან ხუთიოდე კმ-ის დაშორებით მდებარეობს (ილ. 1, 4). ტრადიციით, მონასტრის

4. წმ. ჯვრის მონასტრის საერთო ხედი (ფოტო ნ. ვაჩეიშვილის)

5. საიდნაიას მონასტრის საერთო ხედი (ფოტო ნ. ვაჩეიშვილის)

ადგილი მოიგო მირიან მეფემ, ხოლო მონასტერი დააარსა ვახტანგ გორგასალმა. წერილობითი ცნობებით, მონასტერი ააშენა ქართველმა ბერმა პროხორემ XI საუკუნის II მეოთხედში. 1305-1311 წლებში ის აღადგინა მეფე დავით VII-მ.

წმ. ჯვრის მონასტერი წარმოადგენს ჩაკეტილ არქიტექტურულ კომპლექსს ეკლესიით, სამრეკლოთი, მრავალრიცხოვანი დამხმარე სათავსებით და ვრცელი ეზოთი. ეკლესია გარედან წმ. მიწის მართლმადიდებელთა ეკლესიების უმეტესობის მსგავსად, წარმოადგენს დაუნაწევრებელ კუბურ მოცულობას, რომელზეც მხოლოდ გუმბათი აღიმართება. ინტერიერი გაცილებით უფრო საინტერესოა. შენობა "ჩახაზული ჯვრის" ტიპისაა, ორ თავისუფლად მდგარ ბურჯსა და აფსიდის კედლებზე დაყრდნობილი გუმბათით. გადახურვა გვიანდელია, მაგრამ შესაძლოა თავდაპირველი – XI საუკუნისა – იყოს შეისრული გუმბათქვეშა თაღები. საგულისხმოა, რომ ეს ფორმა, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ X-XII საუკუნეების ქართველი მშენებლები, შუაბიზანტიურ არქიტექტურაში მიღებული არ

6. საიდნაია. ეკლესიის კარის მორთულობა (ფოტო ნ. ვაჩეიშვილის)

ყოფილა, თუმცა ის აქა-იქ გვხვდება საკუთრივ წმ. მიწის ბერძნულ ეკლესიებში (მაგალითად, წმ. საბას მონასტერში). უეჭველია, რომ XI საუკუნიდან მოდის – ძირითადად მაინც – ეკლესიის გეგმაც. წმ. ჯვრის მონასტრის ხუროთმოძღვრების ჯეროვანი შესწავლა ხანგრძლივ კვლევა-ძიებას საჭიროებს და ამჯერად მასზე ვრცლად აღარ შევჩერდებით.

წმ. იაკობის მონასტერი იერუსალიმის ერთ-ერთი უმთავრეს სიწმინდეთაგანია. ის მდებარეობს სიონის მთაზე, წმ. იაკობ უფროსისა (ზებედეს) თავისა და წმ. იაკობ უმცროსის (ალფეს, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსის) ნეშტის დაკრძალვის ადგილას. პირველი სამლოცველო აქ V საუკუნეში აიგო. XI საუკუნის 20-30-იან წლებში მონასტერი ქართველებმა აღადგინეს. ზოგიერთი ცნობით ამ მშენებლობის თაოსანი იყო წმ. ჯვრის მონასტრის მაშენებელი ქართველი ბერი პროხორე. ქართული ტრადიციით, რომელიც წერილობით პირველად ტიმოთე გაბაშვილს აქვს დაფიქსირებული, წმ. იაკობის ეკლესიის მშენებლად ითვლება მეფე გიორგი კურაპალატი, ე. ი. გიორგი II (1072-1089), მაგრამ საფიქრელია, რომ "კურაპალატი" მეფის სახელს გვიან მიემატა (შესაძლოა თვით ტიმოთეს მიერ) და უფრო სწორი იქნება აქ ვიგულისხმოთ გიორგი I (1014-1027), რომელსაც ეს წოდება არ ჰქონია.

წმ. იაკობის მონასტერი ქართველებს ცოტა ხანს ეკუთვნოდა. უკვე XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე მას დაეუფლნენ სომხები და 1142-1165 წლებში განაახლეს ეკლესია. ახლა წმ. იაკობის ეკლესია წმ. მიწის მთავარი სომხური ტაძარია.

ამჟამინდელი არქიტექტურული სახე ეკლესიამ მიიღო სომხების მიერ რამდენიმეგზის აღდგენა-გადაკეთების შედეგად ჯერ XII და შემდეგ XVIII-XX საუკუნეებში. ის წარმოადგენს "ჩახაზული ჯვრის" ტიპის ნაგებობას გუმბათით ოთხ ბურჯზე. ეკლესიას ეკვრის სხვადასხვადროინდელი სამლოცველოები, მათ შორის წმ. სტეფანეს XI საუკუნის ეკვდერი (ჩრდილოეთიდან), რომელიც, შესაძლოა, ქართველების აშენებული იყოს.

დედათა მონასტერი საიდნაია (**Saidnayah)** რომელიც ცნობილია ასევე, როგორც მირქმის ან წმ. ანას მონასტერი, ტიმოთე გაბაშვილის ცნობით ააშენეს (ან განაახლეს) რაჭის ერისთავებმა. 1758 წელს აქ კვლავ ცხოვრობდნენ ქართველი მონაზვნები. ამ მონასტრის ეკლესიაში, პ. უსპენსკის ცნობით, იყო მაცხოვრის ხატი ბერძნული წარწერით, რომლიდანაც ჩანდა, რომ მონასტრის იღუმენი იყო ქართველი, სახელად თამარი. საიდნაიას ქართულ მონასტერად მოიხსენიებს ერთი ბერძნული ხელნაწერიც.

საიდნაიას მონასტერი ძველი ქალაქის ქრისტიანულ უბანში მდებარეობს. ქუჩისპირა გალავნის ტრადიციულად ძალზე მცირე კარს სწორკუთხა ეზოში შევყავართ, რომელიც სხვადასხვა დანიშნულების შენობებით იფარგლება. მათგან ერთ-ერთი, ხელმარცხნივ მდებარე, ეკლესიაა – იერუსალიმის სხვა ეკლესიებივით კუბური მოცულობა, მაგრამ გუმბათის გარეშე, რის გამოც პირველი შეხედვისას ჭირს ეკლესიად მისი წარმოდგენა. (ილ. 5) XX საუკუნეში ჩრდილოეთიდან მიდგმული, თაღით გახსნილი კარიბჭე და განახლებული კედლები მრავალრიცხოვან გადაკეთებებს ცხადყოფს. დღეს ინტერიერიც – გეგმით ირეგულარული მონაკვეთები, რომლებიც დაბალი ჯვრული კამარებითაა დასრულებული – "იერუსალიმურად" გამოიყურება. ქართული ხუროთმოძღვრების კვალზე შეიძლება მეტყველებდეს ჩრდილოეთ ფასადზე, კარის გარშემო შემონახული ქვები. კარის მარჯვნივ, ადამიანის სიმაღლეზე ჩასმულია სამი ქვა, რომელთაგანაც ორს წრეში ჩასმული ვარდული რთავს, ერთს კი მცირე წრეებში ჩაწერილი რომბები ფარავს. მორთულია კარის მარცხენა მონაკვეთიც – აქ ერთ ქვას ვარსკვლავისებური ხაზებისაგან შემდგარი მოტივი ამკობს. მაგრამ ყველაზე საგულისხმო მათ ქვემოთ მიმავალი ჰორიზონტალური გრძელი ფრიზია უწყვეტი დეკორაციული ზოლებისაგან მიღებული წნულით (ილ. 6). პირველივე ასოციაცია მას ქართულ ხუროთმოძღვრებაში არსებულ დეკორაციულ მოტივებთან აკავშირებს. აქაც ჩუქურთმა შედგება წრეების, რომბებისა და მათ შორის ნაირგვარად ჩაწნული ზოლებისაგან. თუ X–XI საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში ამგვარი მოტივები უმეტესად ინტენსიურია, XII-XIII საუკუნეებში თითო ქვაზე მეჩხერ წნულად გამოყვანილ მოტივებს უფრო ხშირად ვხვდებით (მაგალითად, თამარის დროინდელ კოჯრის კაბენის დასავლეთის ფასადზე და სხვაგანაც). საიდნაიას მონასტრის ფრიზის წარმომავლობა სწორედ მათ უნდა დავუკავშიროთ იმ მცირედი განსხვავებით, რომ უხეშ ქვაზე, სადაც ინტენსიური კვეთა შეუძლებელია, მოტივი კიდევ უფრო ნახატისებური ხდება, ჩუქურთმოვანი დიდი მონაკვეთების არარსებობისას კი მორთულობა გრძელ ზოლად გადაიქცევა ფასადზე.

ამავე უბანში, ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს გვერდით მდებარეობს წმ. ნიკოლოზის მონასტერი (ილ. 7). გადმოცემით, ის აშენებულია V საუკუნეში წმ. ნიკოლოზის სენაკის ადგილას. შესაძლოა, უკვე XI საუკუნეში მონასტერი ქართველებისა გახდა. XVII საუკუნის II ნახევარში ეკლესია განაახლა მეფე ერეკლე I-ის დედამ ელენემ (მონაზვნობაში ელისაბედი). ამჟამად მონასტერი ბერძნებისაა – ბერძნული ტრადიციის მიხედვით, მათ ის ქართველებისაგან 1685 წელს რამდენიმე სხვა მონასტერთან ერთად იყიდეს.

წმ. ნიკოლოზის ეკლესია ახლა გვიანდელი ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მასში ჩართულია ადრინდელი – ალბათ XI ან XII საუკუნის – ფრაგმენტებიც, რომლებიც შესაძლოა ქართველთა მიერ ჩატარებული მშენებლობის ნაშთი იყოს. ჩრდილოეთ პატარა აფსიდში, რომელშიც წმ. ბარბარესადმი მიძღვნილი საკურთხეველია მოწყობილი, შემოინახა ძალიან სუფთად თლილი კვადრების წყობა. ეკლესია თავიდან "ჩახაზული ჯვრის" ტიპისა იყო. მოგვიანებით გუმბათი ყელიანად მოშალეს და მის ადგილას ჯვაროვანი კამარა გააკეთეს. ახლა შენობა გარედან, იერუსალიმის ბევრი ბერძნული ეკლესიის მსგავსად, მთლიანად მოქცეულია კუბურ მოცულობაში, რომლიდანაც აღმოსავლეთ მხარეს ნახევარწრიულად გამოწეულია მხოლოდ შუა დიდი აფსიდი. ის გადის ბერძნული საპატრიარქოს



7. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი (ფოტო ნ. ვაჩეიშვილის)

ბაღში, რომელიც ადრე, როგორც ჩანს, მონასტრის სასაფლაოს წარმოადგენდა.

დასასრულს, ცალკე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ნაგებობა, რომლის ისტორია თითქოს არაფრით უკავშირდება ქართველების მოღვაწეობას. ეს არის განშოლტვის (ფლაგელაციის) ეკლესია, რომელიც ფრანცისკელებს ეკუთვნის. ის ხელახლა აშენდა 1838 წელს ძველი ეკლესიის ადგილას და საფუძვლიანად განახლდა 1927-1929 წლებში. შენობის ჩრდილოეთ ფასადში, რომელიც 1838 წლისაა, ჩადგმულია ცხოველის თავის ორი გამოსახულება (ილ. 8). მათი ბლოკური მოცულობები ზედ გამოსახული თვალებით, ნესტოებით, დაცქვეტილი ყურებით ძლიერ მოგვაგონებს X-XI საუკუნეებში ჩვენს არქიტექტურაში გავრცელებულ ცხოველთა საფასადო გამოსახულებებს – ზემო კრიხის, ზენობნის, კვირიკეწმინდის ეკლესიის ფიგურებს. აშკარაა, რომ ქანდაკებები XIX საუკუნეში ხელახლა გამოიყენეს, მაგრამ მათი წარმომავლობა გაურკვეველია. არ მოიპოვება განშოლტვის ეკლესიასთან ქართველების კავშირის დამადასტურებელი არცერთი ცნობა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს ეკლესია დგას მუსლიმურ უბანში, სადაც ქართველებს თითქოსდა მონასტრები არ ჰქონიათ. შესაძლოა, ქანდაკებები ფრანცისკელებმა გადმოიტანეს სხვა რომელიმე ეკლესიიდან, რომელიც ადრე ქართველებს ეკუთვნოდა.

8. განშოლტვის ეკლესია. ჩრდილოეთი ფასადის რელიეფები (ფოტო ნ. ვაჩეიშვილის)